



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

ქალაქი ახალციხე

N 21

20/07/2020

„ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად,

1. შევიდეს შემდეგი ცვლილება „ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 ივნისის N50 განკარგულებაში და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი რედაქციის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ ვ) არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწა - უძრავი ქონება, მდებარე შემდეგ მისამართზე: ახალციხის მუნიციპალიტეტი, ქალაქი ახალციხე, ახალციხე-ახალქალაქის გზატკეცილი, ს/კ 62.09.60.353 დაზუსტებული ფართობი: 896 კვ.მ.“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მეზღვილის ქ. N62).

გელა ნოზაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

